ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N2

დაბა ქედა 20 ივნისი, 2022 წელი.

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ ნაკაშიძე; ჯემალ დავითაძე; მზია ბოლქვაძე და მინდია არძენაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

20.06.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
7	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
9	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. დაბა ქედის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია საინიციატივო ჯგუფი წერილი დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ (შემოსული წერილი: 95-95221401; თარიღი: 20.05.2022 წელი), რომელიც შესასწავლად გადაეცა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლი 6 ნომებრის №25 დადგენილების ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესი"-ის მე-3-ე მუხლის შესაბამისად, ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულ წერილობით მომართვას შეისწავლის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (შემდგომში საკრებულოს კომისია). საკრებულოს კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას ქანდაკების განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ვახტანგ პაპუნიძე დაიბადა 1930 წელს ქედის მუნიციპალიტეტში, უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებს შორის ყველაზე ადრე მიენიჭა პროფესორის წოდება. ის იყო აგრარიკოს-ეკონომისტი. ეკონომიკის მეცნირებათა დოქტორი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსი. ვახტანგ პაპუნიძე სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა სამეცნიერო და სახელმწიიფო დაწესებულებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში აგრო-ეკონომიკური მეცნიერებისა და აჭარის რეგიონის განვითარებაში. ვახტანგ პაპუნიძე გარდაიცვალა 1987 წელს. დაკრძალიულია ბათუმში, ფერიის პანთეონაში.

პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის მოღვაწეობის განხილვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ დაბის ტერიტორიაზე, აღმაშენებლის ქუჩის №8-ის მიმდებარედ, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებას ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა, რადგან ეს ტერიტორია არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას და არის საავტომობილო გზის სავალი ნაწილი. მოსახლეობის მოსაზრებით, მითითებულ ტერიტორიაზე ბიუსტის განთავსებით მცირდება სავალი ნაწილი და შეიქმნება ყოველდღიური საავარიო სიტუაციები. მათი მოთხოვნით აღმაშენებლის ქუჩაზე მიზანშეწონილია მოეწყოს ფეხით მოსიარულეების ბილიკი და ცალკე გამოყოფილ იქნას ავტომანქანების სავალი ნაწილი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფთან არაერთი შეხვედრა გაიმართა და კომისიის მიერ ბიუსტის განთავსების ადგილად შეთავაზებული იყო ქედის №1 საჯარო სკოლის ეზოში, რადგანც სკოლაც პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის სახელობისაა და ლოგიკური იქნებოდა ბიუსტის იქ განთავსება, თუმცა თავად საინიციატივო ჯგუფის მიერ არ იქნა ეს წინადადება გაზიარებული.

მომხსენებელმა, განმარტა რომ ბევრი მსჯელობის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მუნიციპალიური ნაკვეთის სიმცირის გამო ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის შეთავაზებული იქნას დაბა ქედაში, ვაჟა ფშაველას ქუჩის დასაწყისი, კერძოდ ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია. ამიტომ ეთხოვოს საინიციატივო ჯგუფს წინადადების მოწონების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას აღნისნულ ტერიტორიაზე ბიუსტის განTავსების არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა შორენა კარანაძემ - აღნიშნა, რომ კომისიის წინადადება ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის ვაჟა ფშაველას ქუჩის დასაწყისის შეთავაზება მოსაწონია და ამავდროულად სიმბოლურია, რადგანაც ვახტანგ პაპუნიძე სოფელ ზენდიდიდან იყო.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებაა ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის შეთავაზებული იქნას მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ქუჩის დასაწყისი, კერძოდ ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადება ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის ვაჟა ფშაველას ქუჩის დასაწყისი, კერძოდ ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის შეთავაზების შესახებ კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსებისათვის ვაჟა-ფშაველას ქუჩის დასაწყისი, კერძოდ ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის შეთავაზება.

ეთხოვოს, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების ინიციატივის ავტორებს, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, შედგომი განხილვის მიზნით, წარმოადგინოს დაბა ქედის, ვაჟა-ფშაველასა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარედ პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების ვიზუალური (არქიტექტურულ-დიზაინერული) პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე